მოგესალმებით ყველას!

მადლობას მოგახსენებთ ამ მნიშვნელოვანი დღის აღსანიშნავ შეხვედრაზე მობრძანებისთვის.
დღეს ცივილიზებული მსოფლიო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საერთაშორისო დღეს აღნიშნავს.

მინდა თავიდანვე გამოვხატო ჩემი განსაკუთრებული დამოკიდებულება და მივესალმო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ჩვენს თანამოქალაქეებს.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ჩვენი საზოგადოების ის ნაწილი ხართ, ვის მიმართაც სახელმწიფოს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია. ხელისუფლება ვალდებულია, თქვენ შეგიქმნათ ღირსეულად ცხოვრების პირობები. არა არსებობის, არამედ - ღირსეულად ცხოვრების!

ძვირფასო მეგობრებო,

სწორედ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან დამოკიდებულებით ჩანს ყველაზე მკაფიოდ, რა გზას ადგას სახელმწიფო. ჩვენი ქვეყანა და ჩვენი მთავრობაც სწორედ მათთან დამოკიდებულებით დაადასტურებს, თუ რა არის მისი არჩევანი.

საქართველოს მთავრობამ 2013 წელი გამოაცხადა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის წლად.

მთავრობამ აქტიურად ითანამშრომლა პარლამენტთან და საქართველოს პარლამენტი სულ მალე მოახდენს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების“ გაეროს კონვენციის რატიფიცირებას.

გარდა ამისა, მთავრობის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა აქტიური მონაწილეობით მომზადდა და უახლოეს დღეებში დამტკიცდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა, სადაც გათვალისწინებულია კონვენციის პრინციპები და ვალდებულებები. კერძოდ, ცნობიერების ამაღლება, ხელმისაწვდომობა და ინდივიდუალური მობილურობა, აზრისა და შეხედულებების გამოხატვის თავისუფლება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, აბილიტაცია და რეაბილიტაცია, შრომა და დასაქმება, სოციალური დაცვა, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა, კულტურულ, რეკრეაციულ, გასართობ და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა, სტატისტიკა და მონაცემთა შეგროვება, აგრეთვე მონიტორინგის საკითხები.

მეგობრებო,

იმ პოლიტიკით, რომლის განხორციელებაც ჩვენმა მთავრობამ დაიწყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით, დარწმუნებული ვარ, რომ აღმოიფხვრება ხარვეზები, რომლებიც ამ სფეროში არსებობდა წლების განმავლობაში.

ყველაზე მთავარი, რომელიც საქართველოში გადაუჭრელ პრობლემად იყო ქცეული და ყველაზე მეტად აწუხებთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ეს არის საზოგადოებრივი და სახელმწიფო ორგანიზაციების, ქუჩებისა და გადასასვლელების, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოწყობა ისე, რომ მათ თავისუფლად შეძლონ გადაადგილება და თავი იგრძნონ საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად. სწორედ ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად საქართველოს მთავრობამ მოამზადა და უახლოეს მომავალში დაამტკიცებს ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკურ რეგლამენტს“.

ტექნიკური რეგლამენტის ძირითადი მიზანია თანამედროვე საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ადაპტაციის, ინდივიდუალური განვითარებისა და მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობა და მშენებლობის პროცესში ხელმისაწვდომი ფიზიკური გარემოს სტანდარტების გათვალისწინება.

საქართველოს მთავრობის სახელით, მინდა კიდევ ერთხელ დაგიდასტუროთ ჩვენი მზადყოფნა იმისათვის, რათა მაქსიმუმი გაკეთდეს ჩვენი თანამოქალაქეების - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად.

ძვირფასო მეგობრებო,

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის სფერო უაღრესად ფაქიზი სფეროა. ხელისუფლება ამ სფეროში განსაკუთრებით დატვირთულია დიდი პასუხისმგებლობით, მაგრამ ამავე დროს ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოების პასუხისმგებლობა. ჩვენი თანამოქალაქეები, რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის სტატუსი აქვთ, საზოგადოების ისეთივე წევრები არიან, როგორიც თითოეული ჩვენგანია. ვერც ერთი სოციალური შეღავათი, ვერც ერთი სახისა და ოდენობის დახმარება ვერ გაუჩენს მათ საზოგადოების სრულუფლებიანი წევრის განცდას, თუკი საზოგადოება ინერტული იქნება მათ მიმართ. მე მჯერა, რომ ჩვენ, ხელისუფლება, სწორედ საზოგადოების მხარდაჭერით მივაღწევთ იმას, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ცხოვრება თვისებრივად შეიცვალოს და სწორედ ამ სფეროში მიღწეული ცვლილებები გახდეს ჩვენი სახელმწიფოს ჰუმანურობის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ამას შევძლებთ და ისე ვიცხოვრებთ, როგორც დემოკრატიულ საზოგადოებას ეკადრება.

გმადლობთ ყურადღებისათვის.

ინგოროყვას ქ.7, თბილისი 0134, საქართველო
ტელ: (955 32) 299 09 00; ვებ: Government.gov.ge
7th, Ingorokva St. Tbilisi 0134, Georgia
Tel: (955 32) 299 09 00; Web: Government.gov.ge